გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 165

2025 წლის 14 ნოემბერი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ. 66.51.10.423) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 29 სექტემბრის N5/51803 წერილის შესაბამისად დადგა საკითხი, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეში მდებარე 6000.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (ს.კ. 66.51.10.423) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ 2025 წლის 24 სექტემბრის N - MES 4 25 0001217632 წერილით მიმართა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი N66.51.10.423) სახელმწიფოს საკუთრებად დარეგისტრირებისა და შემდგომში სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეში მდებარე 6000.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (ს.კ. 66.51.10.423) გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში, შემდგომში სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 108-ე მუხლის, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 29 სექტემბრის N5/51803 და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ 2025 წლის 24 სექტემბრის N - MES 4 25 0001217632 წერილების შესაბამისად,

1. გადაეცეს, სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ: გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეში მდებარე 6000.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (ს.კ. 66.51.10.423), შემდგომში სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე მარლენ ნადირაძე

66.51.10.423 -რეგისტრირებულია

საკადასტრო კოდი	ფართობი
66.51.10.423	6000 კვ.მ.

ნაკვეთის ტიპი
არასასოფლო სამეურნეო

მისამართი
გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქერე, 1-ლი ქუჩა, N 6

საკუთრების ტიპი
საკუთრება

მესაკუთრე(ებ)ი

სსიპ გორის მუნიციპალიტეტი

დოკუმენტ(ებ)ი

- საკადასტრო გეგმა (4)
- სიტუაციური ნახაზი (2)
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (4)

882023133635	17.05.2023
882023133635	17.05.2023
882020259610	27.05.2020
882020259610	27.05.2020